საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 10 იანვრის
დადგენილება № 579

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების დამტკიცების, არჩევნების გამოცხადების და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულება.
2. 2012 წლის 14 თებერვალს დაინიშნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ა(ა)იპ) – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები და დამტკიცდეს თანდართული განცხადება პრესაში გამოსაქვეყნებლად.
3. რექტორობის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2012 წლის 18 იანვარს და დასრულდეს 4 თებერვალს.
4. მოწონებულ იქნეს რექტორის ბრძანების პროექტი 2012 წლის 25 იანვარს ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს და სენატის არჩევნების დანიშვნის შესახებ.
5. 2012 წლის 6 თებერვალს დაინიშნოს ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნები. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 24 იანვარს და დასრულდეს 31 იანვარს. დამტკიცდეს თანდართული განცხადება პრესაში გამოსაქვეყნებლად.
6. 2012 წლის 7 თებერვალს დაინიშნოს ა(ა)იპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 24 იანვარს და

დასრულდეს 31 იანვარს. დამტკიცდეს თანდართული განცხადება პრესაში გამოსაქვეყნებლად.

7. დამტკიცდეს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლოზ ნაცვლიშვილი – სამშენებლო ფაკულტეტი;

ალექსანდრე რობიტაშვილი – ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი;

უშანგი კავთიაშვილი – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი;

დენიტა ბიბილეიშვილი – ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი;

ჯუმბერ იოსებიძე – სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი;

ლევან ბერიძე – არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი;

ირაკლი გაბისონია – ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი;

გიორგი გოგიჩაიშვილი – ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი;

გიორგი კულდონაშვილი – სტუდენტური თვითმმართველობა.

8. არჩევნები ჩატარდეს წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების შესაბამისად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე